საქართველოს პარლამენტის დადგენილება

„საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციურ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტის გამოქვეყნებისა და მისი საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისიის შექმნის შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. საქართველოს კონსტიტუციის 102-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის გამოქვეყნდეს საქართველოს პარლამენტის წევრთა მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი (№07-3/101, 02.11.2017) „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციურ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტი.

2. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 176-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-4 პუნქტების შესაბამისად შეიქმნას საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისია 10 წევრისაგან, შემდეგი შემადგენლობით:

ა) ირაკლი კობახიძე – საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე (კომისიის თავმჯდომარე);

ბ) თამარ ჩუგოშვილი – საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე;

გ) ირმა ინაშვილი – საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე;

დ) არჩილ თალაკვაძე – საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი;

ე) მამუკა მდინარაძე – საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე;

ვ) სალომე ზურაბიშვილი – დამოუკიდებელი პარლამენტის წევრი;

ზ) ვასილ გონაშვილი – ექსპერტი;

თ) თენგიზ შარმანაშვილი – ექსპერტი, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის თანაშემწე;

ი) ლაშა ტუღუში – გაზეთ „რეზონანსის“ მთავარი რედაქტორი;

კ) თორნიკე ჭეიშვილი – საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის კაბინეტის მთავარი სპეციალისტი (კომისიის მდივანი).

3. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე

ქუთაისი,
2017 წლის 2 ნოემბერი.
№1326 – Iს